სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/08

ქ. თბილისი 5 თებერვალი 2024

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/18 დადგენილებაში (სტუ-ის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ) ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2024 წლის 10 იანვრის №0000013619 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 5 თებერვლის №01-06-02/01 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/18 დადგენილებაში (სტუ-ის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ) კერძოდ დაზუსტდეს უძრავი ქონების მისამართი და მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ოფისის განთავსების მიზნით, უვადო უსასყიდლო სარგებლობლობაში გადასცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება, ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი №6-ში მდებარე შემდეგი სახის ფართები: მე-5 სართული- 175,37 კვ.მ; მე-6 სართული - 274,04 კვ.მ. და №2; №3 ლიფტები (ს/კ 01.14.05.007.073).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**